საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების

ინვენტარიზაციის ანგარიში

2007

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხარდაჭერა გარემოსდაცვითი დაგეგმვის ჩარჩოების გაუმჯობესებაში

შინაარსი

შესავალი 4

1. ნარჩენების მართვის სამართლებრივი ბაზა და მმართველი ორგანოები 6

2. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები რეგიონებისა და რესპუბლიკის მასშტაბით 7
   2.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
   2.2 გურიის რეგიონი
   2.3 სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონი
   2.4 იმერეთის რეგიონი
   2.5 რაჭა-ლეჩხუმ ქვემო-სვანეთის რეგიონი
   2.6 სამცხე-ჯავახეთის რეგიონი
   2.7 შიდა ქართლის რეგიონი
   2.8 ქვემო ქართლის რეგიონი
   2.9 მცხეთა-მთიანეთის რეგიონი
   2.10 კახეთის რეგიონი
   2.11 თბილისი 13
   რეზიუმე 14
3. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზი 16
   3.1 რაოდენობა 16
   3.2 შეგროვება 17
   3.3 გატანა-ტრანსპორტირება 17
   3.4 განთავსება 18
   3.5 სეპარაცია-გადამუშავება 18
   3.6 დაფინანსება 19
   3.7 საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება 20
დასკვნა 20

4. სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები 21
   4.1 ქვეყნის სამრეწველო სექტორი და ინვენტარიზაციის აქცენტები 21
   4.2 სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაციით მოპოვებული მასალები ... 22

5. სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზი 24

6. სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები 26
   6.1 სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის მიზანი 26
   6.2 ინვენტარიზაციის მეთოდიკა 26
   6.3 ქ.თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები 30
   6.4 საქართველოს რეგიონების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები 32
   6.5 სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციით დაფიქსირებული მდგომარეობის შეჯამება და შეფასებები 33
   6.6 რეკომენდაციები 35
7. ბიოლოგიური ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები 36

ცხრილები

ცხრილი 1: საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები რეგიონების მიხედვით 15

ცხრილი 2: ინვენტარიზებულ სამრეწველო ნარჩენთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით 23

ცხრილი 3: სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, რომლებშიც ჩატარდა სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაცია 29

ცხრილი 4: სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა საქართველოში ადგილებიდან წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით 32

ცხრილი 5: რეგიონების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის გადამუშავებული ვარიანტი 34

დანართები

დანართი 1: მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინვენტარიზაციის მონაცემები

დანართი 2: მსხვილ სამრეწველო საწარმოებში ნარჩენების ინვენტარიზაციის მონაცემები

დანართი 3: სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წარმოქმნილი ნარჩენების ინვენტარიზაციის მონაცემები

<u>შესავალი</u>

არსებული მდგომარეობა და ინვენტარიზაციის მიზნები

საქართველოში ნარჩენები სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს. დღემდე ის ითვლება გარემოს დაბინძურების და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების წყაროდ. არ არსებობს ქვეყანაში ნარჩენების მართვის სრულყოფილი სისტემა. დღემდე არ მიმდინარეობს ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა, რის გამოც არ არსებობს ამ სფეროში სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით. არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყნის ტერიტორიაზე წინა წლებში (განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში) ასევე ამ ეტაპზე ყოველწლიურად წარმოქმნილი და დაგროვილი ნარჩენების რაოდენობის, სახეობის, გადამუშავების, განთავსების და გაუვნებელყოფის მდგომარეობის შესახებ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არსებული ინფორმაციები, რომელსაც ის ღებულობს რეგიონალური სამსახურებიდან სრულად ვერ ასახავს არსებულ სიტუაციას.

ნარჩენების სრული და დეტალური ინვენტარიზაცია ვერ მოხერხდა სათანადო დაფინანსების არ არსებობის გამო. მხოლოდ ცალკეული პროგრამების ფარგლებში (ამ პროგრამის მიზნისთვის) გახდა შესაძლებელი საინვენტარიზაციო სამუშაოების შესრულება, კერძოდ სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოსი) მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs ნარჩენების) შემცველი ნარჩენების ინვენტარიზაცია, რის შესახებაც სათანადო ანგარიში არსებობს გარემოს დაცვის სამინისტროში და რის საფუძველზეც მომზადდა POPs ეროვნული სამოქმედო გეგმა.

ამდენად, საქართველოში საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ერთის მხრივ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში და შემდგომ წლებში დაგროვილი ნარჩენები (განსაკუთრებით ტოქსიკური), რის შესახებ სრული ინფორმაცია არ არსებობს და მეორეს მხრივ ასევე უცნობია დღევანდელ ეტაპზე ქვეყანაში ყოველწლიურად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და ტიპები.

დღეს საქართველოში ნარჩენების მართვის სრულყოფილი თანამედროვე სისტემის შექმნა და დანერგვა ერთ-ერთი აქტუალური საკითხი და პრიორიტეტული მიმართულებაა. ახლო მომავალში დაგეგმილია ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც გათვლილი იქნება გრძელვადიან პერიოდზე (10-12 წელი).

სწორედ ამ მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში ნარჩენების ინვენტარიზაციის სამუშაოები.

ნარჩენების ინვენტარიზაცია მიზნად ისახავს ნარჩენების რაოდენობის, შემადგენლობის, მართვის, განთავსების, გაუვნებელყოფის საშუალებების აღწერა–შეფასებას.

<u>გამოყენებული მეთოდოლოგია</u>

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა როგორც არსებული დოკუმენტაციის (კანონმდებლობა, სხვადასხვა ლეგალური დოკუმენტები, კვლევები, ანგარიშები) განხილვას ასევე ინფორმაციის შეგროვებას უშუალოდ ნარჩენების მართვაში ჩართული პასუხისმგებელი პირების გამოკითხვის საშუალებით. ინვენტარიზაციის მიზნით კონკურსის წესით შერჩეული იქნა კვალიფიციური ექსპერტები (გუნდის ლიდერი და 6 ექსპერტი) საინვენტარიზაციო სამუშაოები გრძელდებოდა 2006 წლის სექტემბერ-დეკემბერში.

პირველ ეტაპზე განისაზღვრა ინვენტარიზაციას დაქვემდებარებულ ნარჩენთა კატეგორიები და ინფორმაციის წყაროები. შემუშავდა შესაბამისი კითხვარები, რომელიც დაეგზავნათ ნარჩენების მართვაში ჩართულ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებს.

ინვენტარიზაცია განხორციელდა ნარჩენთა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- სამრეწველო ნარჩენები;
- სამედიცინო ნარჩენები;
- ბიოლოგიური ნარჩენები.

ინვენტარიზაციის შეჯამებული შედეგები მოცემულია როგორც რეგიონების, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით (ცხრილები 1–5).

ინვენტარიზაციის დეტალური მასალები ანგარიშს თან ერთვის (დანართები 1, 2, 3).

1. ნარჩენების მართვის სამართლებრივი ბაზა და მმართველი ორგანოები

ნარჩენების მართვის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო ბაზა დღეისათვის ასეთია:

საქართველოს კანონები:

- ✓ „გარემოს დაცვის შესახებ"
- ✓ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"
- ✓ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"
- ✓ „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ"
- ✓ „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ"
- ✓ „გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ"
- ✓ „სანიტარიული კოდექსი"
- ✓ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება

- ✓ „მყარი საყოფაცხოვრებო პოლიგონების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესებისა და ნორმების შესახებ"

საერთაშორისო კონვენცია

- ✓ ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ"

<u>კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში</u>

დღეისათვის ნარჩენების სახელმწიფო მართვას ახორციელებს რამოდენიმე უწყება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

<u>ფუნქციები:</u>

– სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

– ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირების სფეროში სახელმწიფო კომპეტეტენტური ორგანო;

– საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების, გადამუშავებისა და დაწვის ქარხნების განთავსება და ფუნქციონირებისთვის ნებართვის გაცემა;

– ტოქსიკური, სახიფათო და რადიაქტიური ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების განთავსება-ფუნქციონირება და მათი გაუვნებელყოფა ნებართვის გაცემა;

– კონტროლი ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

<u>ფუნქციები:</u>

– სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ნორმების და წესების შემუშავება და ზედამხედველობის განხორციელება.

საბაჟო დეპარტამენტი

<u>ფუნქციები:</u>

– ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის რეგულირება.

ადგილობრივი მართვის ორგანოები
<u>ფუნქციები:</u>
– მყარი საყოფაცხოვრებო და არასახიფათო ნარჩენების შეგროვება-გატანა-განთავსება.

როგორც ზემოაღწერილიდან ჩანს, ნარჩენების მართვა სხვადასხვა კანონებით რეგულირდება. საკუთრივ ნარჩენების შესახებ კანონი არ არის მიღებული. ამ ეტაპზე სამინისტროს მიერ ჰოლანდიის მთავრობის დახმარებით შემუშავებულია კანონპროექტი „ნარჩენების შესახებ", მიმდინარეობს განხილვა და მისი წარდგენა მთავრობაში დაგეგმილია უახლოეს პერიოდში.

2. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები რეგიონებისა და რესპუბლიკის მასშტაბით

საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად აღრიცხულ საყოფაცხოვრებო ნარჩენთა რაოდენობა შეჯამებულია ცხრილ 1-ში, ხოლო დეტალური ანგარიშები რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია დანართ 1-ში (ცხრილები 1.1 – 1.10).

<u>2.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.</u>

მიღებული ინფორმაციით აჭარის ა/რ-ში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 327 676 $მ^3$/წ. ქალაქებისა და რაიონების მიხედვით დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში №1, ცხრილი №1.1.

რეგიონში ნაგავსაყრელების რაოდენობა შეადგენს 13-ს, აქედან 5 კანონიერი, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 24 ჰა-ს და 8 უკანონო ნაგავსაყრელი (ხულოში 2, შუახევში 3, ქედაში 3), რომელთა ფართობი და განთავსებული ნარჩენების რაოდენობა უცნობია.

ქ. ბათუმის ნაგავსაყრელი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 5 კმ-ის დაშორებით, ხელვაჩაურის რ-ის სოფ. ადლიაში, უშუალოდ მდინარე ჭოროხის პირას, ზღვის შესართავიდან 1,5 კმ-ზე, რის გამოც ზედაპირული ჩამდინარე წყლებით ბინძურდება მდინარე, ხოლო შემდგომ ზღვა. ნაგავსაყრელის ფარობია 19 ჰა და ის ფუნქციონირებს 1965 წლიდან. ყოველწლიურად ნაგავსაყრელზე განთავსდება 280 000 $მ^3$ ნარჩენი. ნაგავსაყრელზე მთლიანად განთავსებული ნარჩენების რაოდენობა დაახლოებით არის 2 640 000 ტ. ნაგავსაყრელს არ გააჩნია: მშენებლობის პროექტი, ნარჩენების დასანოტივებელი ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, ატმოსფერული ნალექების შემკრები წყალამრიდი თხრილები, არ ხდება მიწის ფენით დაფარვა. ნაგავსაყრელი ნაწილობრივ შემოღობილია. ზღვის დაბინძურების

თავიდან აცილების მიზნით ჩატარდა მდინარე ჭოროხის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მძიმე მდგომარეობაა ქ. ქობულეთში. ნარჩენები იყრება დაჭაობებულ ტერიტორიაზე და წარმოადგენს დაბინძურების სერიოზულ წყაროს. ასევე მძიმე მდგომარეობაა ხულოს, ქედის და შუახევის რაიონებში, როგორც ნარჩენების შეგროვების, ასევე მათი განთავსების თვალსაზრისით. ხულოს და შუახევის რაიონებში ნაგავსაყრელები უშუალოდ მდინარე აჭარისწყლის ხევებში არის განთავსებული.

ამ ეტაპზე ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის მიზნით შერჩეულია მიწის ფართობი (12 ჰა) დაბა ჩაქვში. შემუშავებულია მშენებლობის პროექტი, რომელიც უნდა დაფინანსდეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ. ასევე მუშავდება ძველი ნაგავსაყრელის უსაფრთხო კონსერვაციის პროექტი. სავარაუდოდ, ნაგავსაყრელი უნდა მოემსახუროს მთლიანად აჭარის რეგიონს.

რეგიონში მთლიანად დასაქმებულია 39 ნაგავმზიდი და ნაგავსაყრელებზე მომუშავე 3 ერთეული ტრაქტორი.
რეგიონში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ხორციელდება კონტეინერული, ბუნკერული და ზარის სისტემის მეშვეობით.

2.2 გურიის რეგიონი

რეგიონში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 14 890 მ^3/წ. ნარჩენების რაოდენობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია დანართში №1, ცხრილი №2.

რეგიონში ნაგავსაყრელების რაოდენობა შეადგენს 3-ს, რომელთა საერთო ფართობია 8,65 ჰა.

რეგიონში მთლიანად დასაქმებულია 5 ნაგავმზიდი და ნაგავსაყრელებზე მომუშავე 2 ტრაქტორი.

წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება, გატანა, განთავსება, არ პასუხობს სანიტარულ-ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

2.3 სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონი

ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით, სამეგრელო ზემოსვანეთის რეგიონში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 203 270 მ^3/წ. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია დანართში №1, ცხრილი №3.

რეგიონში, ნაგავსაყრელების რაოდენობა შეადგენს 9-ს, აქედან 6 კანონიერი, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 14 ჰა-ს და 3 უკანონო ნაგავსაყრელი (მარტვილი 1, ჩხოროწყუ 2) მათი ფართობი და განთავსებული ნარჩენების რაოდენობა უცნობია.

ხობის რაიონში დაგეგმილია ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა, სოფელ პირველი მაისის განაპირა ტერიტორიაზე, რომელიც მოემსახურება ხობის რაიონს, საერთო ფართობით 1 ჰა, რომელზედაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემულია სათანადო ნებართვა.

აღსანიშნავია, რომ ქ. ფოთის ამორტიზებული ნაგავსაყრელი მდებარეობს მდ. რიონის შესართავთან და წარმოადგენს გარემოს დაბინძურების სერიოზულ კერას. ნაგავსაყრელის ფართობი შეადგენს 3 ჰა-ს და ის ფუნქციონირებს 1967 წლიდან. ხშირი წვიმების და მდინარის ადიდების გამო ნარჩენების დიდი ნაწილი ხვდება ზღვაში. ნაგავსაყრელზე ყოველწლიურად განთავსდება 180 000 მ^3 ნარჩენი. ნაგავსაყრელზე განთავსდება ყველა სახის ნარჩენი, მათ შორის ბიოლოგიური ნარჩენებიც.
გარემოს, ჰიდროსფეროს დაბინძურების მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა მარტვილის რაიონში, რომლის უკანონო ნაგავსაყრელი განთავსებულია მდ. აბაშის პირას.

რეგიონში არსებული ნაგავსაყრელები არ პასუხობს სანიტარულ ეკოლოგიურ მოთხოვნებს, ტერიტორია არ არის შემოღობილი, რის გამოც ტერიტორიაზე შეუზღუდავად გადაადგილდება პირუტყვი.

რეგიონში მთლიანად დასაქმებულია 24 ნაგავმზიდი და ნაგავსაყრელებზე მომუშავე 5 ტრაქტორი.

<u>2.4 იმერეთის რეგიონი</u>

ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით, იმერეთის რეგიონში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 191 650 მ^3/წ. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია დანართში №1, ცხრილი №4.

რეგიონში ნაგავსაყრელების რაოდენობა შეადგენს 11-ს, აქედან 10 კანონიერი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 71,5 ჰა-ს და 1 უკანონო ნაგავსაყრელი (ზესტაფონი) მისი ფართობი და განთავსებული ნარჩენების რაოდენობა უცნობია.
ქ. ქუთაისს გააჩნია ერთი ნაგავსაყრელი, რომელიც აგრეთვე ემსახურება ბაღდათის და წყალტუბოს რაიონებს. ნაგავსაყრელი მდებარეობს ნიკეას ქუჩის დასახლებიდან 500 მ-ის დაშორებით, მისი ფართობია 42 ჰა და ფუნქციონირებს 1962 წლიდან. ყოველწლიურად ნაგავსაყრელზე განთავსდება 150 000 მ^3 ნარჩენი. (მთლიანად განთავსებული რაოდენობა უცნობია). ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის ვადა გასულია. ნარჩენების

შეგროვება-გატანა-განთავსებას ემსხურება 45 მანქანა, რომელთაგან 7 სპეციალური მანქანაა, ხოლო დანარჩენი ღია თვითმცლელია. ავტოპარკი მოძველებულია. ნაგავსაყრელი სავალალო მდგომარეობაშია: ტერიტორია ნაწილობრივ შემოღობილია და ხდება ადამიანებისა და პირუტყვის თავისუფლად გადაადგილება; ადგილი აქვს ნარჩენების ღიად წვის პროცესებს; არ ხდება მიწის ფენით დაფარვა. ნაგავსაყრელი გადატვირთულია და წარმოადგენს ანტისანიტარიის და დაბინძურების სერიოზულ კერას. ანალოგიური მდგომარეობაა რეგიონის სხვა ნაგავსაყრელებზეც. ზოგიერთ რაიონს კი ნაგავსაყრელი არ გააჩნია, რის გამოც ნარჩენები იყრება მდინარეთა ნაპირებზე.

არცერთი სხვა მოქმედი ნაგავსაყრელი არ პასუხობს სანიტარულ–ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

რეგიონში მთლიანად დასაქმებულია 64 ნაგავმზიდი დანაგავსაყრელებზე მომუშავე 8 ტრაქტორი.

2.5 რაჭა-ლეჩხუმ-ქვემოსვანეთის რეგიონი

ნარჩენების აღრიცხვის სისტემა არ არსებობს. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით რაიონულ ცენტრებში სავარაუდოდ წარმოიქმნება დაახლოებით 2000-2200 $მ^3$/წ მყარი საყოფაცხოვრებიო ნარჩენი. არსებობს 3 ოფიციალური ნაგავსაყრელი – ცაგერის, ამბროლაურისა და ონის ნაგავსაყრელები, რომლებიც არ პასუხობენ მინიმალურ სანიტარულ-ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

ლენტეხის რ-ნს ნაგავსაყრელი საერთოდ არ გააჩნია და ნაგვის გადაყრა ხდება მდინარეთა კალაპოტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნარჩენების მართვის სისტემა მთლიანად მოშლილია და შესაბამისად კითხვარების მიხედვით ვერ იქნა მოწოდებული სათანადო ინფორმაცია.

2.6 სამცხე ჯავახეთის რეგიონი

ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით სამცხე ჯავახეთის რეგიონში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 274-580 $მ^3$/წ. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია დანართში №1, ცხრილი №5. ცხრილში მითითებულია, რომ მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 122 538 $მ^3$/წ. გაუგებარია, რა იგულისხმება მუნიციპალურ ნარჩენებში ან რა ნიშნით ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან მუნიციპალურის გამოყოფა.

არ არის დახასიათებული ნარჩენების მართვის სისტემა (შეგროვება, გატანა, განთავსება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ნაგავსაყრელების სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობა, ფართობი და სხვა).

წინა წლების ინფორმაციის მიხედვით რეგიონში განთავსებულია 7 ნაგავსაყრელი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სანიტარიულ და გარემოსდაცვით ნორმებს. არც ერთი ნაგავსაყრელი არ არის შემოღობილი და დაცული. რეგიონში ნარჩენების განთავსება ხდება მდინარეების და რკინიგზის ლიანდაგების გასწვრივ.

ქ. ბორჯომისათვის ნაგავსაყრელი გამოყოფილი იქნა 1990 წელს სოფ. ქვაბისხევთან, ბორჯომიდან 23 კმ-ის დაშორებით. ნაგავსაყრელი ექსპლუატაციაში შევიდა იმავე წელს და მისი ფუნქციონირება განსაზღვრული იყო 2 წლით. ნაგავსაყრელი გადატვირთულია და დღემდე მიმდინარეობს ნარჩენების განთავსება.
დაბა ბაკურიანს ოფიციალურად გამოყოფილი ნაგავსაყრელი არ გააჩია. ნარჩენების განთავსება დღემდე მიმდინარეობს ყოფილი მელიების ფერმის მიმდებარე ტერიტორიაზე და წარმოადგენს დაბინძურების კერას.
ამ ეტაპზე შერჩეულია ტერიტორია და შემუშავებულია დაბა ბაკურიანისათვის ნაგავსაყრელის მოწყობის პროექტი და გაცემულია სათანადო ნებართვა.

2.7 შიდა ქართლი რეგიონი

ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით შიდა ქართლის რეგიონში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 161 090,6 $მ^3$/წ. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია დანართში №1, ცხრილი №6.

რეგიონში კანონიერი ნაგავსაყრელების რაოდენობა შეადგენს 5-ს, ამასთან დაფიქსირებულია უკანონო ნაგავსაყრელები, რომელთა რიცხვი 10-ს აჭარბებს. ხუთი კანონიერი ნაგავსაყრელის საერთო ფართობი შეადგენს 18.5 ჰა-ს, ხოლო უკანონო ნაგავსაყრელების ფართობი და განთავსებული ნარჩენების რაოდენობა უცნობია. აღსანიშნავია არაკანონიერი ნაგავსაყრელების რაოდენობა სოფლების მიმდებარე ტერიტორიებში, რაც ბუნებრივად იწვევს მდინარეებისა და გრუნტის წყლების დაბინძურებას.

რეგიონში არსებული ნაგავსაყრელები არ პასუხობენ სანიტარულ ეკოლოგიურ მოთხოვნებს, ტერიტორია არ არის შემოღობილი, რის გამოც ტერიტორიაზე შეუზღუდავად გადაადგილდება პირუტყვი.

რეგიონში მთლიანად დასაქმებულია 23 ნაგავმზიდი.

2.8 ქვემო ქართლის რეგიონი

ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით ქვემო ქართლის რეგიონში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 178 218 მ^3/წ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია დანართში №1, ცხრილი №7.

რეგიონში კანონიერი ნაგავსაყრელების რაოდენობა შეადგენს 9-ს, ხოლო უკანონო ნაგავსაყრელები დაფიქსირებული არ არის. ნაგავსაყრელების საერთო ფართობი შეადგენს 35.8 ჰა-ს.

რეგიონში არსებული ნაგავსაყრელები არ პასუხობენ სანიტარულ ეკოლოგიურ მოთხოვნებს, ტერიტორია არ არის შემოღობილი, რის გამოც ტერიტორიაზე შეუზღუდავად გადაადგილდება პირუტყვი. ნაგავსაყრელებში ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს წვის პროცესს, რაც განაპირობებს გარემოს პოტენციურად ძლიერ დაბინძურებას. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია შესაბამისი შემარბილებელი ზომების გატარება, რაც ჯერჯერობით არ მიმდინარეობს.

აღსანიშნავია მარნეულის რაიონში არსებული იაღლუჯის ნაგავსაყრელი, რომელიც ემსახურება ***ქ. რუსთავის მარჯვენა სანაპიროს*** და ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებას აწარმოებს შ.პ.ს. “ავტომობილისტი 2003”. იაღლუჯის ნაგავსაყრელი ემსახურება დაახლოებით 800,000 მოსახლეს, მისი ფართობი შეადგენს 5 ჰა-ს და განთავსებული ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 6,650,000 მ^3; ნაგავსაყრელს 2 ბულდოზერი ემსახურება; ნაგავსაყრელს არ გააჩნია გრუნტის წყლების კონტროლისათვის სინჯების ასაღები ჭები და ჭაბურღილები.

აქვე აღსანიშნავია გარდაბნის რაიონის ნაგავსაყრელი, რომელიც ემსახურება ***ქ. რუსთავის მარცხენა სანაპიროს*** და ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებას აწარმოებს შ.პ.ს. “კეთილმოწყობა”. ნაგავსაყრელი ემსახურება დაახლოებით 50,450 მოსახლეს, მისი საერთო ფართობი შეადგენს 600 მ^2-ს და განთავსებული ნარჩენების საერთო რაოდენობა წელიწადში შეადგენს 58021,2 მ^3/წელი; ნაგავსაყრელს 2 ბულდოზერი ემსახურება; ნაგავსაყრელს არ გააჩნია გრუნტის წყლების კონტროლისათვის სინჯების ასაღები ჭები და ჭაბურღილები.

რეგიონში მთლიანად დასაქმებულია 52 ნაგავმზიდი.

2.9 მცხეთა მთიანეთის რეგიონი

ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 161 090 მ^3/წ. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა

ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია დანართში №1, ცხრილი №8.

რეგიონში კანონიერი ნაგავსაყრელების რაოდენობა შეადგენს 3-ს, ხოლო უკანონო ნაგავსაყრელები დაფიქსირებული არ არის. ნაგავსაყრელების საერთო ფართობი შეადგენს 8.7 ჰა-ს.

რეგიონში არსებული ნაგავსაყრელები არ პასუხობენ სანიტარულ ეკოლოგიურ მოთხოვნებს, ტერიტორია არ არის შემოღობილი, რის გამოც ტერიტორიაზე შეუზღუდავად გადაადგილდება პირუტყვი.
რეგიონში მთლიანად დასაქმებულია 9 ნაგავმზიდი.

2.10 კახეთის რეგიონი

ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციით კახეთის რეგიონში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საერთო რაოდენობა შეადგენს 60 500 $მ^3$/წ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მოცემულია დანართში №1, ცხრილი №9, ხოლო ნარჩენების პროცენტული შემადგენლობა უცნობია.

რეგიონში ნაგავსაყრელების რაოდენობა შეადგენს 11-ს, აქედან 10 კანონიერი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 28 ჰა-ს და 1 უკანონო ნაგავსაყრელი (ქ. წნორი), რომლის ფართობი და განთავსებული ნარჩენების რაოდენობა უცნობია.

რეგიონში არსებული ნაგავსაყრელები არ პასუხობენ ელემენტარულ სანიტარულ ეკოლოგიურ მოთხოვნებს.

რეგიონში მთლიანად დასაქმებულია 27 ნაგავმზიდი და ნაგავსაყრელებზე მომუშავე 1 ტრაქტორი.

2.11 თბილისი

სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე სრულყოფილად ინფორმაცია მოპოვებული იქნა ქ. თბილისში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ. შედარებით სრულდაა დახასიათებული ქალაქში არსებული ნარჩენების მართვის სისტემა.

ქ. თბილისში მოსახლეობის 100 % უზრუნველყოფილია ნარჩენების გატანით. ინვენტარიზაციით წარმოდგენილი ინფორმაციით ქ. თბილისში ნარჩენების წლიური მოცულობა 1 095 000 $მ^3$ - ს შეადგენს. წინა წლების მონაცემებით კი ეს ციფრი განსხვავებულია და შეადგენს 1 200 000 – 1 600 000 $მ^3$/წ.

ნაგავსაყრელების საერთო ფართობი შეადგენს 24 ჰა-ს

ქალაქში მოქმედებს ნარჩენების შეგროვების სამი სისტემა: კონტეინერული, ბუნკერული და ზარის სისტემა.

წინა წლებში ქ. თბილისში ნარჩენების მართვის სისტემა ვერ პასუხობდა სანიტარულ-ეკოლოგიურ მოთხოვნებს, თუმცა ბოლო ორი წლის გამავლობაში ქალაქის მერიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. შეძენილ იქნა ნაგვის შეგროვებისა და გადაზიდვის თანამედროვე მანქანა-მექანიზმები, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა.

ქ. თბილისს ემსახურება ორი ნაგავსაყრელი – გლდანისა და იაღლუჯის. სამწუხაროდ ეს ნაგავსაყრელები არ პასუხობენ სანიტარულ-ეკოლოგიურ მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილია ძველი ნაგავსაყრელების კონსერვაცია და ახლის მშენებლობა.

დეტალური ინფორმაცია ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინვენტარიზაციის შესახებ მოცემულია დანართში №1, ცხრილი №10.

რეზიუმე

ამდენად, ინვენტარიზაციის მასალებზე დაყრდნობით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების 45%-ი დედაქალაქში წარმოიქმნება. შემდეგი მნიშვნელოვანი ნარჩენწარმომქმნელი რეგიონებია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი (სურ. 2.1).



სურ. 2.1

ცხრილი №1

საქართველოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები რეგიონების მიხედვით

რეგიონის დასახელება	მოსახლეობის რაოდენობა	წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა (ინვენტარიზაციის მასალებით) მ³/წ	ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რ-ბა		წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა (ექსპერტული შეფასებით) მ³/წ	ნაგავსაყრელების რაოდენობა		ნაგავსაყრელის ფართობი ჰა
			ინვენტ. მიხედვით	ექსპერტული შეფასებით		ოფიციალური	არაოფიციალური	
აჭარის ა/რ	377 200	327 700	0.87	0.95	358 300	5	8	24
გურია	139 300	14 900	0.11	0.5	69 700	3	-	8,65
სამეგრელო ზემო-სვანეთი	472 900	203 300	0.43	0.6	283 700	8	5	14
იმერეთი	700 100	191 700	0.27	0.7	490 100	10	1	71,5
რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი	49 100	1 900	0.04	0.4	19 600	3	-	-
სამცხე-ჯავახეთი	208 500	122 500	0.59	0.5	104 300	7	-	-
შიდა ქართლი	314 000	161 100	0.52	0.7	219 800	5	10	18.5
მცხეთა-მთიანეთი	124 500	14 100	0.11	0.5	62 300	-	3	8.7
ქვემო ქართლი	507 600	179 200	0.35	0.7	355 300	9	-	35.8
კახეთი	404 800	60 500	0.15	0.6	242 900	11	1	28
ქ. თბილისი	1 103 300	1 095 000	0.99	1.1	1 213 600	2	-	24
სულ	***4 401 300***	***2 371 900***	**0.54**	**0.66**	***3 419 600***	***63***	***28***	***233,15 ჰა***

3. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზი

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილი ინფორმაცია ძალზედ მწირია (გარდა ქ. თბილისისა), ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ადგილობრივი მართვის ორგანოებთან არსებული შესაბამისი სამსახურები არ ფლობენ და ვერ აკონტროლებენ რეალურ მდგომარეობას. სამწუხაროდ სრულად არ არის წარმოდგენილი და დახასიათებული ნარჩენების მართვის სისტემა (შეგროვება, ტრანსპორტირება, განთავსება, მატერიალურ- ტექნიკური ბაზა, ფინანსური ასპექტები, სისტემის სანიტარულ–ეკოლოგიური მდგომარეობა, დაგეგმილი რონისძიებები და სხვა). წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით მოთხოვნილი მასალები სრულად არ არის წარმოდგენილი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინვენტარიზაციით მოპოვებული და სამინისტროში არსებული ინფორმაციით მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად:

3.1 ნარჩენების რაოდენობა

არ არსებობს ნარჩენების აღრიცხვის სისტემა ან ის სრულყოფილი არ არის, ამიტომ ინფორმაცია ნარჩენების რაოდებობის შესახებ ხშირად ეჭვს იწვევს. შეფასების კრიტერიუმებად აღებულია მოსახლეობის რაოდენობა ან ნაგავმზიდი მანქანების მოცულობა, რაც სისტემატიურად არ აღირიცხება. ინვენტარიზაციის მონაცემებით, მთლიანად საქართველოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა შეადგენს ***2 371 900*** **მ³/წ**. წინა წლების ინფორმაციით ეს ციფრი შეადგენდა დაახლოებით **5,5 მლნ მ³/წ**.

ჩვენი აზრით, რადგანაც ნარჩენების აღრიცხვის სისტემა არარეალურია, ამ ეტაპზე ნარჩენების რაოდენობის განსაზღვრა მიზანშეწონილია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა გარკვეული დიფერენციაცია მსხვილი ქალაქების, რაიონული ცენტრების, დაბების და სხვა დასახლებული პუნქტების მიხედვით.

რეგიონების სპეციფიკისა და წლების განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, ექსპეტულ ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა რეგიონების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნის წლიური კოეფიციენტები. ეს კოეფიციენტები და მათზე დაფუძნებული ნარჩენების რაოდენობის თეორიული გათვლა ცხრილ 1-შია წარმოდგენილი. ამ გათვლების მიხედვით, ქვეყანაში წლიურად წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა დაახლოებით უდრის **3 419 600 მ³/წ**.

სხვაობა ინვენტარიზაციის მონაცემებსა და თეორიული გათვლის შედეგებს შორის საკმაოდ დიდია, რაც ძირითადად აიხსნება რეგიონებში – თითქმის ყველა სოფელში – სპონტანურად წარმოქმნილი მრავალი არაოფიციალური ნაგავსაყრელის არსებობით, რომელთაც მიმდინარე ინვენტარიზაცია არ შეხებია.

3.2 ნარჩენების შეგროვება

საქართველოს ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და ზოგიერთ დაბაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ხდება 3 სისტემით:

ბუნკერული – განთავსებულია მაღალსართულიან კორპუსებში, არასტანდარტული და მოძველებულია, არ აკმაყოფილებს სანიტარიულ მოთხოვნებს (არ ირეცხება, არ უტარდება დეზინფექცია, მომრავლებულია მღრნელები და მწერები), გადატვითვა არამექანიზირებულია, დაცლის სიხშირე დაბალია და არაეფექტურია.

კონტეინერული – განთავსებულია ქუჩებში, შენობებთან ახლოს, უმეტესად არასტანდარტული და მოძველებულია, არ აკმაყოფილებს სანიტარიულ მოთხოვნებს, დაცლის სიხშირე დაბალია, გადატვირთვა უმეტესად არამექანიზირებულია და არაეფექტურია.

ზარის სისტემა ქალაქის იმ უბნებში გამოიყენება, სადაც არ არის განთავსებული კონტეინერები. გატანის სიხშირე დაბალია, ხდება ნარჩენების დაყრა ქუჩებში და იქმნება ანტისანიტარიის კერები, სისტემა არაეფექტურია.

ზემოაღწერილი სისტემებით სოფლის დასახლებებიდან ნარჩენების გატანა არ ხორციელდება, რის გამოც მოსახლეობის მიერ ნარჩენების გატანა და დაყრა ხდება დასახლებული პუნქტების მიმდებარედ, ხევებსა და მდინარეების კალაპოტებში.

ქუჩების, ბაღების, პარკების, სკვერების, პლაჟების დასუფთავებისას წარმოქმნილ ნარჩენებს განათავსებენ ბუნკერებში ან აგროვებენ მიმდებარე ტერიტორიებზე. ხშირია ქუჩებში, ბაღებში, პარკებში ნარჩენების წვის ფაქტები (ფოთლები, ქაღალდი, პლასტმასი და სხვა).

3.3 ნარჩენების გატანა/ტრანსპორტირება

ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის ძირითადად გამოიყენება ღია ძარიანი მანქანები, ირღვევა ნარჩენების ტრანსპორტირების ტექნოლოგიური ნორმები, ავტოპარკი მოძველებული და ამორტიზირებულია. ამ სისტემით ნარჩენების გატანა იწვევს ქუჩების, გზების და საერთოდ გარემოს

დაბინძურებას, არაეფექტურია. ზოგიერთ ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი) ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის ნაწილობრივ გამოიყენება დახურული (კონტეინერმზიდი) მანქანები.

3.4 ნარჩენების განთავსება

ნაგავსაყრელებზე ნარჩენები გადის ყოველგვარი დახარისხების გარეშე. საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად ხვდება სამრეწველო, სამშენებლო, სამედიცინო, ბიოლოგიური, ტოქსიკური და სხვა.

არსებული ინფორმაციით საქართველოში აღრიცხულია 69 ნაგავსაყრელი, რომელთა მიერ დაკავებული ფართობი შეადგენს 280-300 ჰა-ს.

ფაქტიურად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არცერთი ნაგავსაყრელი არ პასუხობს გარემოსდაცვით და სანიტარიულ მოთხოვნებს და ნორმებს. კერძოდ:

- ნაგავსაყრელებს არ გააჩნიათ მშენებლობის პროექტები, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სანიატრიული და გარემოსდაცვითი ნორმები;
- არ გააჩნიათ სადრენაჟო სისტემა;
- არ გააჩნიათ ნარჩენების დასანოტივებელი წყალმომარაგების სისტემა, რის შედეგადაც ადგილი აქვს თვითაალების და წვის პროცესებს. ეს განსაკუთრებით აწუხებს იმ დასახლებული პუნქტების მაცხოვრებლებს, სადაც ახლოს არის განლაგებული ნაგავსაყრელები;
- არ არსებობს ნაგავსაყრელების გასწვრივ მწვანე ზონა;
- არ გააჩნიათ მიწისქვეშა წყლების კონტროლისათვის სინჯის ასაღები შურფები, ჭები, ან ჭაბურღილები;
- ფაქტიურად არც ერთ ნაგავსაყრელზე არ წარმოებს ნარჩენების დატკეპნა და საიზოლაციო მიწის ფენით დაფარვა;
- ნაგავსაყრელების უმრავლესობა მდინარეების პირასაა განლაგებული. ატმოსფერული ნალექებისა და წყალდიდობის დროს ადგილი აქვს მდინარეში ნარჩენების ჩარეცხვის ფაქტებს;
- ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი და დაცული, რის შედეგად ადგილი აქვს ნაგავსაყრელების მთელ ტერიტორიაზე პირუტყვისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას. ნაგავსაყრელზე გამოკვებილი პირუტყვი დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების პოტენციური მატარებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ყველა ეტაპზე შეგროვება-გატანა-განთავსება დარღვეულია სანიტარიული და გარემოსდაცვითი ნორმები, რის გამო დაბინძურებულია გარემო – ქალაქები, დასხლებული პუნქტები, მათი მიმდებარე ტერიტორიები, ავტომაგისტრალები, ქუჩები, სკვერები, ბაღები, პარკები, ლანდშაფტები, პლაჟები. საფრთხე ექმნება ადამიანის ჯანმრთელობას და ხელი ეშლება ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას.

3.5 მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარაცია-გადამუშავება

არ მიმდინარეობის ნარჩენების სეპარაცია, როგორც მისი შეგროვების, ისე მისი განთავსების ეტაპზე. მოსახლეობა სხვადასხვა ტერიტორიაზე, მათ შორის ნაგავსაყრელებზე, აგროვებს ლითონის ნარჩენებს და აბარებს სპეციალურ მიმღებ პუნქტებს. ასევე მერქნის ნარჩენებს გამოიყენებს საწვავად. პლასტმასის შეგროვება ხდება ხელახალი გამოყენების მიზნით და არა გადამუშავების მიზნით.

ამჟამად ნარჩენების გადამუშავება (კომპოსტირება, უსაფრთხოდ დაწვა ენერგიის მიღების მიზნით, ან ნედლეულად გამოყენება პროდუქციის მიღების მიზნით) პრაქტიკულად არ ხდება. მხოლოდ გერმანულ-ქართულმა ერთობლივმა საწარმომ დაიწყო მაკულატურის ცალკე შეგროვება.

არსებობდა გლდანის ნაგავგადამამუშავებელი (კომპოსტირების) და ფონიჭალის ნაგავსაწვავი ქარხნები, რომლებმაც ფუნქციონირება 1991 წლიდან შეწყვიტეს და აღდგენას არ ექვემდაბარებიან.

3.6 დაფინანსება (შეგროვება-გატანა-განთავსება)

ნარჩენების შეგროვება-გატანა-განთავსების დაფინანსება ხდება შემდეგი წყაროებიდან:
– დასუფთავების მოსაკრებელი საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ერთ სულ მოსახლეზე, რაც ძირითადში 30-40 თეთრს შეადგენს თვეში;
– მოსაკრებლები საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან განსხვავებულია და განისაზღვრება ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე;
– სუბვენციები ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ქ. თბილისის მაგალითზე უხეში გათვლებით ხარჯების 40% მოსაკრებლით იფარება, ხოლო დანარჩენი ბიუჯეტიდან სუბსიდირების სახით. ნარჩენების შეგროვების-გატანის და განთავსების რეალური ხარჯები ბევრად აღემატება მოსაკრებლებით ამოღებულ სახსრებს. ამჟამად მოსაკრებლებით შემოსული თანხები 1ტ. ნარჩენზე შეადგენს 3 ევროს. მაშინ როდესაც უხეში გათვლებით, მომსახურეობის ხარჯები, მხოლოდ ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის 1ტ. ნარჩენზე დაახლოებით შეადგენს 10 ევროს.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა სხვა ქალაქებსა და რეგიონებში.

თუ გათვალისწინებული იქნება ნარჩენების შეგროვება-გატანა-განთავსების თვითღირებულების ხარჯები, მაშინ აუცილებელი გახდება მოსაკრებლის გაზრდა.

3.7 საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

მოსახლეობის ცნობიერება ნარჩენების მართვასთან და მის პრობლემებთან მიმართებაში ძალზე დაბალია.

რეზიუმე:

საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელები დაბინძურების სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ, რამდენადაც არცერთი მათგანი არ არის მოწყობილი გარემოს დაცვითი პრინციპების გათვალისწინებით. ნარჩენები უმეტესად პირდაპირ იყრება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, დაშრევებისა და საიზოლაციო ფენით გადაფარვის გარეშე. არ არის უზრუნველყოფილი ნაგავსაყრელის ფსკერის გაუმტარობა. არ არსებობს სადრენაჟო სისტემა. ამდენად, წვიმის ნაწრეტი წყალი ნარჩენების ფენების გავლის და დაბინძურების შემდეგ, მიწისქვეშა წყლებისა და მიწის დაბინძურებას იწვევს. გარდა ამისა, ხშირია აალების შემთხვევები, რაც ჰაერის დაბინძურების სერიოზული წყაროა.

არსებული ნაგავსაყრელების უმეტესობა საბჭოთა პერიოდშია აშენებული. ნაგავსაყრელების ადგილის შერჩევა არ განხორციელებულა გარემოზე მიყენებული ზიანის რისკის გათვალისწინებით. ამდენად, ხშირად ნაგავსაყრელები დასაშვებზე ახლოს მდებარეობენ საცხოვრებელი პუნქტებიდან, მდინარეებიდან და ზღვიდან.

გარდა ამისა, დამატებითი დაბინძურების წყაროა არალეგალური ნაგავსაყრელები. თუმცა, დაბინძურების საშიშროების თვალსაზრისით, კანონიერი ნაგავსაყრელები არანაკლებ რისკს წარმოადგენენ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის. არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა კი დამატებითი, უკონტროლო დაბინძურების კერებს ქმნის და ართულებს ნარჩენების აღრიცხვას.

4. სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები

4.1 ქვეყნის სამრეწველო სექტორი და ინვენტარიზაციის აქცენტები

სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაციის მიზნით შემუშავდა შესაბამისი კითხვარი, წინასწარ განისაზღვრა იმ ობიექტების (საწარმოების) ჩამონათვალი, სადაც უნდა განხორციელებულიყო ინვენტარიზაციის სამუშაოები. ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იმ სტაციონარულ ობიექტებზე, სადაც სავარაუდოდ წარმოიქმნებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობით შესაბამისი კატეგორიის ნარჩენები, შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის 2005 წლის მონაცემებით, ამჟამად საქართველოში 4632 საწარმოა. აქედან 192 მსხვილი, 497 საშუალო და 3943 წვრილი. აღსანიშნავია, რომ 2000 წელთან შედარებით საწარმოების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

სამეწარმეო სფეროში წამყვან რეგიონებს წარმოადგენენ თბილისი, ქვემო ქართლი, იმერეთი, შიდა ქართლი და კახეთი. ამ რეგიონებში განთავსებულია გარემოს ძირიადი დამაბინძურებელი საწარმოები: ნავთობგადამამუშავებელი, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი, სინთეზური ამიაკის, ლაქ-საღებავების მწარმოებელი, სამშენებლო მასალების გადამამუშავებელი ობიექტები. წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მიხედვით თბილისი პირველ ადგილზეა. შემდეგ მოდის, ქვემო ქართლი, იმერეთი და შიდა ქართლი. ისევე როგორც საბჭოთა პერიოდში, ძირითადი სამრეწველო ქალაქებია თბილისი, ქუთაისი და რუსთავი. ამ ქალაქებზე მოდის მრეწველობაში დასაქმებულთა დაახლოებით ორი მესამედი და წარმოებული პროდუქციის 66% ქვეყნის მასშტაბით[1]. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და ჭიათურმანგანეზი რეგიონში უდიდესი საწარმოებია. თუმცა, მათი მრეწველობის მოცულობა მკვეთრად შემცირდა საბჭოთა პერიოდთან შედარებით. ამ მხრივ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია და 50% დატვირთვით მუშაობს.

2003 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით ინდუსტრიულ საწარმოთა უმეტესობა 5-დან 50%-მდე დატვირთვით მუშაობს. გამონაკლისს წარმოადგენს "მადნეულის" საბადო და სპილენძისა და ბარიტის გადამამუშავებელი ქარხანა ბოლნისში, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს[2]. გარდა ამისა, ქვეყანაში ხდება ქვანახშირის, ნავთობისა და

[1] Environmetnal Performance Review of Georgia, UNECE, 2003, Chapter 9, Mining, Industry and Environment

[2] Environmetnal Performance Review of Georgia, UNECE, 2003, Chapter 6, Waste Chemicals and Contaminated Sites

ბუნებრივი აირების წარმოება. სულ ორი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაა, ბათუმში და უფრო მცირე – სართიჭალაში. ქვანახშირის უდიდეს საბადოს ტყიბულ-შაორის საბადო წარმოადგენს. გარდა ამისა, ქვანახშირის წარმოება ხდება ტყვარჩელსა და ახალციხეშიც.



სურ. 4.1

სამრეწველო დარგებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნარჩენწარმომქმნელი სექტორებია სასარგებლო წიაღესეულის მოპოვება (მათ შორის ქვანახშირის მოპოვება/გადამუშავება), შავი და ფერადი მეტალურგია და ნავთობის მოპოვება/გადამუშავება. შემდეგ მოდის გადამამუშავებელი მრეწველობა და სხვა დარგები. საქართველოში წარმოების უმეტესი წილი გადამამუშავებელ წარმოებაზე მოდის.

4.2 სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაციით მოპოვებული მასალები

ნარჩენების ინვენტარიზაციის შეჯამებული შედეგები რეგიონების, დარგებისა და ნარჩენთა კატეგორიების მიხედვით არის წარმოდგენილი, ხოლო დეტალური ინფორმაცია ინვენტარიზირებული ობიექტების და მათში წარმოქმნილი და განთავსებული ნარჩენების შესახებ მოცემულია დანართებში ცხრილების სახით. საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად აღრიცხულ სამრეწველო ნარჩენთა რაოდენობა შეჯამებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილ № 2-ში, ხოლო დეტალური ანგარიშები რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია დანართ 2-ში (ცხრილები 2.1 – 2.10).

ცხრილი №2

ინვენტარიზებულ სამრეწველო ნარჩენთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

№	რეგიონი	Iნვენტ. ობიექტ. რაოდენ.	1. ნავთობ-პროდ წარმ.და მოხმ. ნარჩ., ტ	2. შავი და ფერადი ლით. ჯართი, ტ	3. ქიმ. წარმ. და გადამ ნარჩ., ტ	4. პოლიეთ. და პლასტმ ნარჩ., ტ	5. მინის ლეწი, ტ	6. ლუმინესცენციური ნათურები, ცალი	7. სამთო-მოპ. და გადამუშ. ნარჩ., ტ	8. სამშ. მასალ. წარმ. ნარჩ., ტ	9. ხე-ტყის დამუშ ნარჩ., ტ	10. უალკ და ალკ. წარმ. ნარჩ., მ³	11. სხვა ორგ. და არაორ ნარჩ., ტ	12 მათ შორის სახიფათ ნარჩ., ტ, ც.
1	აჭარის ა/რ	52	22 354	119	62	_	_	_	_	5 000	4 200	60	_	**22 520**
2	გურია	10	_	_	_	_	10	_	_	400	130	81	_	_
3	სამეგრ. ზემო-სვან.	30	4 515	10	_	_	15	_	_	20	210	30	1 310	**4 520**
4	იმერეთი	30	3	3	768 008	_	110	_	8 144 500	20	950	28	3	**768 010**
5	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო-სვან.	--	_	_	_	_	_	_	_	_	10 000	_	_	**100 000**
6	შიდა ქართლი	16	_	60	_	_	_	_	_	2 460	250	100	_	_
7	მცხეთა-მთიანეთი	16	_	_	_	_	_	_	_	55	370	_	_	_
8	სამცხე ჯავახეთი	--	_	_	_	_	_	_	_	_	50	_	_	_
9	ქვემო ქართლი	53	5	52	13 034	_	_	_	3 631 400	19 710	470	_	140	**13 040**
10	კახეთი	74	_	_	_	_	14	_	400 t	7 500	2 910	43 300	14	_
11	თბილისი რუსთავი	132 36	641	1 474	15	12,2	55	68 100	_	510	40	1400	25	**660 ტ, 68100ც.**
12	**სულ**	**449**	**27 520**	**1 720**	**781 120**	**12**	**200**	**68 100**	**11 776 300**	**35 700**	**19 600**	**45 000**	**1 490**	**908 740 ტ, 68100ც.**

[3] ცხრილში მოყვანილი მონაცემების გარდა, საბაჟო დეპარტამენტის 2006 წლის ინფორმაციით, ქვეყანაში წლიურად შემოსული ტექნიკური ზეთების, საბურავებისა და აკუმულატორების (და აქედან გამომდინარე, სავარაუდო ნარჩენების) რაოდენობები შემდეგია: **ტექნიკური ზეთები – 13 174ტონა; საბურავები – 11 921ტონა, აკომულატორები – 3 282ტონა.**

5. სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზი

უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო ნარჩენები ძირითადად განთავსებულია საწარმოებისა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, უმეტეს შემთხვევაში დაცული არ არის გარემოსდაცვითი მოთხოვნები, რაც გარემოს დაბინძურების წყაროს წარმოადგენს.

საბჭოთა პერიოდში, მრეწველობის სექტორის სრული დატვირთვით მუშაობის დროს, განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარჩენები წარმოიქმნა და დაბინძურების კერები გაჩნდა ისეთ ქალაქებში როგორიცაა რუსთავი, ქუთაისი, ზესტაფონი, ბოლნისი და სხვა, სადაც მეტალურგიული, ფეროშენადნობთა ქარხნებიდან, სამთომომპოვებელი კომბინატებიდან და სხვა საწარმოებიდან მრავალი ათასი ტონა სამრეწველო ნარჩენი (წიდა, დამუშავებული და ფუჭი ქანების გადანაყრები და სხვა) დაგროვდა. ამის შედეგად ამ საწარმოთა მიმდებარე ტერიტორიები მრავალი წლის განმავლობაში ფორმირდებოდნენ, როგორც ტოქსიკური ელემენტების მომატებული კონცენტრაციების გეოქიმიური პროვინციები.

შემდგომ წლებში სამრეწველო სექტორის მოცულობის შემცირების გამო ამ პროცესის ინტენსივობა შენელდა, თუმცა გარემოზე მისი უარყოფითი ზეგავლენის საშიშროება კვლავ არსებობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საწარმოების ის ნაწილი, რომლებიც დღეისათვის გაჩერებულია, ან შეცვლილი აქვს პროფილი, მაგრამ გააჩნია ძველი აკუმულირებული ნარჩენები.

ინვენტარიზაციის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეტაპზე აღრიცხულია შემდეგი კატეგორიებისა და რაოდენობის ნარჩენები:

1. ნავთობპროდუქტების წარმოებისა და მოხმარების ნარჩენები 27 520 ტ;
2. შავი და ფერადი ლითონის ჯართი 1 720 ტ;
3. ქიმიური წარმოებისა და გადამუშავების ნარჩენები 781 120 ტ;
4. პოლიეთილენისა და პლასტმასის ნარჩენები 12 ტ;
5. მინის ლეწი 200 ტ;
6. ლუმინესცენციური ნათურები 68100 ც.;
7. სამთომოპოვების და გადამუშავების ნარჩენები 11 776 300 ტ;
8. სამშენებლო მასალების წარმოების ნარჩენები 35 700 ტ;
9. ხე-ტყის დამუშავების ნარჩენები 19 600 $მ^3$;
10. უალკოჰოლო და ალკოჰოლური წარმოების ნარჩენები 45 000 ტ;
11. სხვა ოგანული და არაორგანული ნარჩენები 1490 ტ.

ზემოაღნიშნული ნარჩენებიდან 908 740 ტონას წარმოადგენს სახიფათო ნარჩენები.

რეზიუმე:

ნარჩენების ინვენტარიზაციის მონაცემებით, დღესაც სამრეწველო ნარჩენების უდიდესი ნაწილი კვლავ სამთომოპოვებით ნარჩენებზე მოდის. მეორე ადგილზეა ქიმიური მრეწველობა. მიუხედავად იმისა, რომ სამთომოპოვებითი მრეწველობა დღეს ქვეყნის წამყვან სექტორს აღარ წარმოადგენს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საშიში დაბინძურების კერებს ქმნის ძველი, დასაწყობებული სამთომოპოვებითი ნარჩენები.



სურ. 5.1

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილ №2-ში მოცემული მონაცემები მოიცავს უშუალოდ ინვენტარიზირებულ ობიექტებზე არსებულ ნარჩენთა კატეგორიებსა და რაოდენობებს.

ინვენტარიზაციის მასალები სუსტია იმ ნაწილში, რომ მას არა აქვს სრული კომენტარები ნარჩენების განთავსების, გადამუშავების, რეციკლირების და გაუვნებელყოფის საკითხებთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია ამ მიმართულებით დამატებითი ინფორმაციის მოძიება.

6. სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები

შესავალი

ნარჩენები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და მათ შორის საქართველოსთვისაც, მით უმეტეს თუ გათვალისწინებული იქნება ის ფაქტი, რომ არ არსებობს სრული მონაცემები მათი წარმოშობის, გაუვნებელყოფის, გადამუშავებისა და განთავსების თაობაზე. ნარჩენების შესახებ ასევე არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. უკანასკნელ წლებში არ გატარებულა რაიმე ღონისძიება ნაგავსაყრელების გარემოსდაცვით და სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. არ მიმდინარეობს ნარჩენების დახარისხება. ნარჩენების დაუხარისხებლად გატანის გამო, ნაგავსაყრელებზე ლითონის, მინის, სხვადასხვა პოლიმერული მასალისა და სხვა სახის ნარჩენებთან ერთად ხვდება სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების (სამედიცინო) ნარჩენები.

6.1 სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის მიზანი

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაცია, რომელიც განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. ინვენტარიზაცია განხორციელდა 2006 წლის სექტემბერ-დეკემბერში. სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაცია წარმოადგენა ქვეყანაში ნარჩენების ინვენტარიზაციის შემადგენელ ნაწილს.

6.2 ინვენტარიზაციის მეთოდიკა

ქვეყნის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ნარჩენების ინვენტარიზაციისა და მართვის შესწავლის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2001 წლის 16 აგვისტოს №300/ნ ბრძანებით "სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლობის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ" დამტკიცებული "სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლობის სანიტარიული წესები"-ს შესაბამისად შემუშავდა "სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის კითხვარი".

ადგილებზე კითხვარის შევსების პროცესის გაადვილების მიზნით, კითხვარს თანდართული ჰქონდა "სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლობის სანიტარიული წესები"-ს მიხედვით სამედიცინო ნარჩენების კლასიფიკატორი.

აღნიშნული კითხვარის მიხედვით სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციისა და ორგანიზაციის შიგნით მართვის შესახებ პირველადი ინფორმაციის მოპოვება ჩატარდა როგორც ქ. თბილისის, ასევე ქვეყნის ყველა რეგიონში და მოცული იქნა 268 სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება, მათ შორის ქ. თბილისის 78 და რეგიონების - 190.

ჯანმრთელობის დაცვის 2005 წლის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით ქ. თბილისის მასშტაბით საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში 85 სტაციონარული დაწესებულება იყო, რომელთაგან 67 საავადმყოფო და 18 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია, რომლებშიც საწოლთა საერთო რაოდენობა შეადგენს 7122, მათ შორის საავადმყოფოებში 5047.

ქ. თბილისის 78 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან სამ დაწესებულებაში (რესპუბლიკური საავადმყოფო, ბავშვთა მე-5 საავადმყოფო და კარდიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტირუტი) ვერ ჩატარდა სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაცია, რადგან რესპუბლიკური საავადმყოფოსა და კარდიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში ინვენტარიზაციის პროგრამის დაწყებამდე, ამ ობიექტებში დაწყებული იყო სრული სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები, ხოლო ბავშვთა მე-5 საავადმყოფო არ ფუნქციონირებს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში.

ქ. თბილისში თითოეულ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებაში კითხვარის შევსებამდე ობიექტების ხელმძღვანელებთან ერთად შესაბამის პერსონალთან (კითხვარის შევსებაზე ობიექტის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილ პასუხიმგებელ პირთან) ჩატარდა ინსტრუქტაჟი.

ქ. თბილისში თითოეულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებას კითხვარის შევსებისათვის მიეცა 10 დღის ვადა, რომლის შემდეგ მოხდა შევსებული კითხვარების შეგროვება და დამუშავება.

რეგიონებში კვლევების ოპერატიულად ჩატარების მიზნით, კვლევების დაწყებამდე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეგიონულ სამსახურებში ჩატარდა ინსტრუქტაჟი და მიეცათ შესაბამისი განმარტებები კითხვარების შევსების მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით.

ადგილებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შედგენილი იქნა შესაბამისი ცხრილები, რომლებშიც უცვლელად შევიდა ადგილებიდან წარმოდგენილი პირველადი მონაცემები სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობის შესახებ (დანართი 3, ცხრილები № 3.1 -3.11).

მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის (75) და რეგიონების 193 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან სამედიცინო ნარჩენების

ინვენტარიზაციის შესახებ წარმოდგენილი იქნა შევსებული კითხვარები, უმეტეს დაწესებულებებში საჭირო გახდა დამატებითი კონსულტაციების ჩატარება, რადგან ადგილებზე საკმაოდ გაუძნელდათ კითხვარით გათვალისწინებული მთელი რიგი პოზიციების შევსება, კერძოდ: წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობის, კლასიფიკაციის, ნარჩენების ორგანიზაციის შიგნით მართვის, ნარჩენების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის, შესაგროვებელი ტარისა და მათი განთავსების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ქ.თბილისის 75 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან 10-მა დაწესებულებამ პრაქტიკულად ვერ მოახერხა "სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლობის სანიტარიული წესები"-თ გათვალისწინებული სამედიცინო ნარჩენების კლასიფიკაციის შესაბამისად მონაცემების წარმოდგენა, ხოლო რეგიონებიდან 58 ორგანიზაციამ, მათ შორის: მცხეთა-მთიანეთის 3 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან -3, ქვემო ქართლის 21 –დან 7-მა, შიდა ქართლის 15-დან 8, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის 2-დან 1-მა, კახეთის 17-დან 8, სამცხე-ჯავახეთის 17-დან 11-მა, იმერეთის 28-დან 14-მა ფოთის 10-დან 6-მა. მონაცემები ნაწილობრივ წარმოადგინა 13-მა, ხოლო 45 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მონაცემებით (მათ შორის: მცხეთა-მთიანეთის-3, ქვემო-ქართლის-6, კახეთის-8, სამცხე-ჯავახეთის-11, იმერეთის-14 და ფოთის-6 დაწესებულებაში) ამ დაწესებულებებში არ მიმდინარეობს სამედიცინო ნარჩენების აღრიცხვა.

იმის გამო, რომ როგორც ქ.თბილისის, ასევე რეგიონების სამკურნალო-პროფილაქტიკური 236 დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მონაცემები არასრულყოფილი იყო, დამატებით ჩატარდა ამ დაწესებულებებში ზოგიერთი მონაცემის დაზუსტება ადგილებზე განმეორებით გასვლით, ასევე პერსონალური და სატელეფონო ინტერვიუებით. დამატებით ჩატარდა ასევე კვლევები და გაანგარიშებები წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა რეგიონის 20 სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, მათ შორის გურიის რეგიონის-3, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის-6, მცხეთა-მთიანეთის-3, სამცხე-ჯავახეთის-2, ქვემო ქართლის-2 სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში. საბოლოოდ ქვეყნის მასშტაბით წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობრივი მაჩვენებლების სამუშაოებმა მოიცვა 268 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება (ცხრილი № 3).

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, რომლებშიც გეგმიურად და დამატებით ჩატარდა სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაცია

ცხრილი №3

№	სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების რაოდენობა				
	ქალაქის, რეგიონის დასახელება	სტატისტიკური მონაცემების მიხედვით	ობიექტების რაოდენობა, რომლებშიც გეგმიურად ჩატარდა ინვენტარიცაზია	ობიექტების რაოდენობა, რომლებშიც დამატებით ჩატარდა ინვენტარიცაზია	ობიექტების საერთო რაოდენობა, რომლებშიც ჩატარდა ინვენტარიცაზია და/ან გაანგარიშებით დადგინდა სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა
1.	თბილისი	67	78	-	78
2.	აჭარის ა/რ	22	20	-	20
3.	გურია	6	3	3	6
4.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	2	6	8
5.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	26	22	-	22
6.	იმერეთი	31	28	-	28
7.	კახეთი	22	17	-	17
8.	მცხეთა-მთიანეთი	6	3	3	6
9.	სამცხეჯავახეთი	13	17	2	19
10	ქვემო-ქართლი	22	21	4	25
11.	შიდა ქართლი	13	15	2	17
12	ფოთი	4	10	-	19
13	სხვა უწყებები	12	-	12	12
14	საქართველო	248	236	32	268

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის გადამუშავებული ვარიანტი, შედგენილი იქნა სპეციალური ცხრილები, რომელშიც შევიდა ობიექტის დასახელება, საწოლთა რაოდენობა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში როგორც სტაციონარში, ასევე ამბულატორიულ-პოლიკლინიკურად გატარებულ პაციენთა რაოდენობა და საორიენტაციოდ თითოეულ დაწესებულებაში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა კლასების მიხედვით (დანართი 3, ცხრილები 3.1-3.11). საბოლოოდ შემუშავდა ორი ცხრილი (ცხრილები № 4, 5) რომლებშიც შევიდა როგორც ადგილებიდან წარმოდგენილი პირველადი ინფორმაცია, ასევე გადამუშავებული ვარიანტი ქ. თბილისისა და რეგიონების მიხედვით.

6.3 ქ.თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები

ქ. თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან წარმოდგენილი სამედიცინო ნარჩენების ივენტარიზაციის მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მთლიანობაში 75 დაწესებულებაში წლის განმავლობაში გროვდება 2174543,5 კგ სამედიცინო ნარჩენი, მათ შორის "ა" კლასის 1292995 კგ, "ბ" კლასის – 785369,8 კგ, ”გ" კლასის – 3079,6 კგ, "დ" კლასის – 93 099,1 კგ.

რადიაქტიური კომპონენტების შემცველი ნარჩენები ზემოაღნიშნულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებეში ადგილებიდან წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით არ დაფიქსირდა.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო ნარჩენების ივენტარიზაციის პროცესში დადგინდა, რომ ბევრ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში არ იცნობენ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2001 წლის 16 აგვისტოს №300/ნ ბრძანებით დამტკიცებულ “სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლობის სანიტარიულ წესებს”, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ არ არის ბრძანებით გამოყოფილი ნარჩენებზე პასუხისმგებელი პირი (ექიმი ჰიგიენისტი ან/და ეპიდემილიგი), ხშირ შემთხვევაში სამედიცინო ნარჩენების მართვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ექიმ-ჰიგიენისტის ან/და ეპიდემოლოგის ნაცვლად დავალებული აქვს უფროს მედდებს. ზოგიერთ დაწესებულებას არ გააჩნია ექიმ-ჰიგიენისტის ან/და ეპიდემიოლოგის შტატი.
სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს არ აქვთ შემუშავებული და დამტკიცებული სამედიცინო ნარჩენების მართვის ინსტრუქცია და ნარჩენების გატანის გეგმა, არ არის ორგანიზებული სამედიცინო და მომსახურე პერსონალის განათლება სამედიცინო ნარჩენების მოპყრობასთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში პერსონალი ვერ ერკვევა სამედიცინო ნარჩენების კლასიფიკაციაში და სხვა. რაც თავისთავად მიუთითებს ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების უმრავლესობა აშენებულია ან/და რეკონსტრუირებულია 1990 წლამდე, მაშინ როდესაც ამ პერიოდში არ მოქმედებდა სამედიცინო ნარჩენების შეგროვების, გატანისა და გაუვნებლობის სანიტარიული წესები და ნორმები, ხოლო საამშენებლო წესებითა და ნორმებით არ რეგლამენტირდებოდა მოთხოვნები სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების შემადგენლობაში ნარჩენების დროებითი

განთავსების სათავსოებისა და მათი თერმული უტილიზაციის ნაგებობების არსებობისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, რეალურთან მიახლოებული სურათის შექმნის მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარდა ადგილებიდან წარმოდგენილი ციფრობრივი მონაცემების ხელახლა გადაანგარიშება,[4] რის საფუძველზეც დადგინდა ქ.თბილისის 75 სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა (დანართი 3, ცხრილი №3.12).

დადგინდა, რომ ქ.თბილისის 75 სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში წლის განმავლობაში წარმოიქმნება 5 199 799,5 კგ სამედიცინო ნარჩენი, მათ შორის: "ა" კლასის – 4 505 425,1 კგ; "ბ" კლასის – 545 053,1 კგ; "გ" კლასის – 75 782,2 კგ; "დ" კლასის – 73 539,1კგ.

იმის გათვალისწინებით, რომ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები ქვეყნის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სრული დატვირთვით არ მუშაობენ, აუცილებელია მიღებული შედეგებში დაწესებულებების დატვირთვის შესაბამის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით კორექტივის შეტანა.

ოფიციალური მონაცემებით, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების დატვირთვის საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 40-დან 60%-მდე, ზოგიერთის კი 70- მდე, ხოლო რეგიონებში 30-დან 40%-მდე. გამომდინარე აქედან, ქ.თბილისის 78 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებაში ჩატარებული სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზით მიღებული საერთო მაჩვენებლები შესაძლებელია გადაანგარიშდეს ამ პროცენტულ მაჩვენებლებზე.
ქ.თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების 65%-ი დატვირთვის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში გროვდება სულ (5199799,5 კგ-ს 65%) 3 379 869,7 კგ სამედიცინო ნარჩენი, მათ შორის "ა" კლასის – 2928526,2 კგ, "ბ" კლასის – 354284,5 კგ, "გ" კლასის 49258,4 კგ და "დ" კლასის – 47800,4 კგ.
აღნიშნულის რეალობაზე მიუთითებს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური ცნობარის მონაცემების მიხედვით ჩატარებული გათვლები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ ქ. თბილისში 85 სტაციონარულ დაწესებულებაში არსებულ 7122 საწოლის მიხედვით წლის განმავლობაში სულ გროვდება 3 379 389 კგ სამედიცინო ნარჩენი.

შეიძლება ითქვას, რომ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის დადგენის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, თუმცა უპირატესობა მაინც ადგილებზე შესაბამისი სპეციალისტებისა და სამსახურების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგებს უნდა მიენიჭოს, რასაც თბილისის მასშტაბით არ ექცევა სათანადო ყურადღება და ამ მიმართულებით პრაქტიკულად არ მიმდინარეობს მუშაობა დაწესებულებებში.

[4] ვ. გ. აკიმკინი, “სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, გაუვნებელყოფის, დროებით შენახვისა და მოცილების ორგანიზებისათვის”. მოსკოვი, 2004.

6.4 საქართველოს რეგიონების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები

საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან წარმოდგენილი სამედიცინო ნარჩენების ივენტარიზაციის მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მთლიანობაში იმ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, სადაც ჩატარდა ინვენტარიზაცია, ადგილებიდან წარმოდგენილი მასალების მიხედვით (ქ.თბილისის ჩათვლით) წლის განმავლობაში გროვდება 2 433 390,5 კგ სამედიცინო ნარჩენი, მათ შორის "ა" კლასის -1 516 044, 4 კგ, "ბ" კლასის – 818089,4 კგ, ”გ" კლასის – 4526,6 კგ, "დ" კლასის – 94720,1 კგ (ცხრილი №4).

სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა საქართველოში ადგილებიდან წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით

ცხრილი №4

№	ქალაქის, რეგიონის დასახელება	წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა კლასების მიხედვით კგ				სულ
		“ა” კლასი	“ბ” კლასი	“გ” კლასი	“დ”	
1.	2	3	4	5	6	7
1.	თბილისი	1292995	785369,8	3079,6	93099,1	2174543,2
2.	აჭარის ა/რ	77850	13750	780	246	94626
3.	გურია	680	425	50	70	1225
4.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	450	70	-	-	520
5.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	39704,4	3759,6	-	651	44115
6.	იმერეთი	16755	4092	117	120,5	21084,5
7.	კახეთი	2603	730	300	306,6	3939,5
8.	მცხეთა-მთიანეთი	-	-	-	-	-
9.	სამცხე-ჯავახეთი	33960	925	-	204	35089
10.	ქვემო-ქართლი	16240	3075	200	23	19538
11.	შიდა ქართლი	33260	3780	-	-	37040
12.	ფოთი	1550	115	10	-	1650
13.	სულ	1516044, 4	818089,4	4526,6	94720,1	2433390,5

რადიაქტიური კომპონენტების შემცველი ნარჩენები ზემოაღნიშნულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებეში ადგილებიდან წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით არ დაფიქსირდა.

6.5 სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციით დაფიქსირებული მდგომარეობის შეჯამება და შეფასებები

სამედიცინო ნარჩენების ივენტარიზაციის პროცესში დადგინდა, რომ რეგიონების ბევრ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ისევე როგორც თბილისის, არ იცნობენ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2001 წლის 16 აგვისტოს №300/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლობის სანიტარიულ წესებს", სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ არ არის ბრძანებით გამოყოფილი ნარჩენებზე პასუხისმგებელი პირი (ექიმი ჰიგიენისტი ან/და ეპიდემილიგი), ხშირ შემთხვევაში სამედიცინო ნარჩენების მართვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ექიმ-ჰიგიენისტის ან/და ეპიდემოლოგის ნაცვლად დავალებული აქვს დაწესებულების დირექტორის მოადგილეს ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში ან/და უფროს მედდებს. ზოგიერთ დაწესებულებას არ გააჩნია ექიმ-ჰიგიენისტის ან/და ეპიდემიოლოგის შტატი.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს არა აქვთ შემუშავებული და დამტკიცებული სამედიცინო ნარჩენების მართვის ინსტრუქცია და ნარჩენების გატანის გეგმა, არ არის ორგანიზებული სამედიცინო და მომსახურე პერსონალის განათლება სამედიცინო ნარჩენების მოპყრობასთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში პერსონალი ვერ ერკვევა სამედიცინო ნარჩენების კლასიფიკაციაში და სხვა. რაც თავისთავად მიუთითებს ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების უმრავლესობა აშენებულია ან/და რეკონსტრუირებულია 1990 წლამდე, მაშინ როდესაც ამ პერიოდში არ მოქმედებდა სამედიცინო ნარჩენების შეგროვების, გატანისა და გაუვნებლობის სანიტარიული წესები და ნორმები, ხოლო საამშენებლო წესებითა და ნორმებით არ რეგლამენტირდებოდა მოთხოვნები სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების შემადგენლობაში ნარჩენების დროებითი განთავსების სათავსოებისა და მათი თერმული უტილიზაციის ნაგებობების არსებობისა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, რეალურთან მიახლოებული სურათის შექმნის მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარდა ადგილებიდან წარმოდგენილი ციფრობრივი მონაცემების ხელახლა გადაანგარიშება,[4] რის საფუძველზეც დადგინდა ქვეყნის მასაშტაბით სამკურნალო-პროფილაქტიკურ

დაწესებულებაში წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობა (ცხრილი №5).

რეგიონების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის გადამუშავებული ვარიანტი

ცხრილი № 5

№	ქალაქის, რეგიონის დასახელება	საწოლთა რ-ბა	წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა კლასების მიხედვით კგ-ში				სულ
			"ა" კლასის	"ბ" კლასის	"გ" კლასის	"დ" კლასის	
1.	2	3	4	5	6	7	8
1.	თბილისი	7122	2928526,2	354284,5	49258,4	47800,4	3 379869,5
2.	აჭარის ა/რ	1642	779129	93495,5	780	246	873650,5
3.	გურია	345	163702,5	19644,3	50	70	183466,8
4.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემოსვანეთი	255	120997,5	14519,7	70	-	135587,2
5.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	1230	583635	70036,2	-	651	654322,2
6.	იმერეთი	2266	1075217	129026	117	120,5	1204480,5
7.	კახეთი	775	367737,5	44128,5	300	306,5	412472,5
8.	მცხეთა-მთიანეთი	183	86833,5	14962,1	-	-	101795,6
9.	სამცხე-ჯავახეთი	686	490899,1	58907,9	53144	-	602 951
10.	ქვემო-ქართლი	1094	519103	62292,4	200	23	581618,4
11.	შიდა ქართლი	909	431320,5	51758,5	-	-	483079
12.	ფოთი	266	126217	15146	10	-	141373
13.	სხვა უწყებები	1307	620171,5	74420,6	-	-	694592,1
14.	საქართველო	17841	8293489,3	1002622,2	103929,4	49217,4	9 449258,3

მთლიანობაში ქვეყნის 268 სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში წლის განმავლობაში წარმოიქმნება 9 449 258,3 კგ სამედიცინო ნარჩენი, მათ შორის: "ა" კლასის - 8293489,3 კგ, "ბ" კლასის - 1002622,2 კგ, "გ" კლასის - 103929,4 კგ და "დ" კლასის - 49217,4 კგ.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებში სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების დატვირთვა მერყეობს 30-დან 40%-მდე, ცხრილი №5-ის მონაცემებიდან გამოანგარიშებული იქნა 40%-ანი მაჩვენებლები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ რეგიონების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წლის განმავლობაში გროვდება 2 427 755,52 კგ სამედიცინო ნარჩენი, მათ შორის "ა" კლასის 2 145 985,24 კგ, "ბ" კლასის – 259335,08 კგ, "გ" კლასის – 21868,4 კგ და "დ" კლასის – 566,8 კგ.

ქ.თბილისის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების 65%-ი დატვირთვის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში გროვდება სულ (5199799,5 კგ-ს 65%) 3 379 869,7 კგ სამედიცინო ნარჩენი, მათ შორის "ა"

კლასის - 2928526,2 კგ, “ბ” კლასის – 354284,5 კგ, “გ” კლასის 49258,4 კგ და “დ” კლასის – 47800,4 კგ.
მთლიანობაში ქვეყნის მასშტაბით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წლის განმავლობაში გროვდება სულ 5 807 625,02 კგ სამედიცინო ნარჩენი, მათ შორის “ა” კლასის 5 074 511,44 კგ, “ბ” კლასის – 613 619,58 კგ, “გ” კლასის – 71 126,8 კგ და “დ” კლასის – 48 367,2 კგ.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ 2007 წლის 11 იანვარს მასმედიის საშუალებებით ერთობლივად გაკეთებული ოფიციალური განცხადების თანახმად ქვეყნის მასშტაბით უახლოეს პერიოდში დაგეგმილია სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ძველი, ამორტიზებული და იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების შენობების, რომლებიც რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარებიან, მასიური პრივატიზაცია, ამასთანავე 100 ახალი, თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღჭურვილი ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მშენებლობა, რაც თავისთავად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, პროექტის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჩატარებული სამედიცინო ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მონაცემები უნდა ვივარადაუდოთ, რომ მკურნალობის ახალი, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ფონზე მკვეთად შეიცვლება შემცირების ტენდენციით.

თუმცა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში დღევანდელ დღეს სამედიცინო ნარჩენების მართვის არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო, აუცილებელი ხდება ამ სახის ნარჩენების ორგანიზაციის შიგნით მართვის, გატანისა და უტილიზაციის კონკრეტული რგოლების ჩამოყალიბებისათვის თითოეული დაწესებულებაში მიღებული იქნეს კონკრეტული გადაწყვეტილებები, დაწესებულებების სიმძლავრისა და დასაქმებული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით.

6.6 რეკომენდაციები

აუცილებელია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით ამაღლდეს ამ მიმართულებით სამედიცინო პერსონალის განათლების დონე.

გადასაწყვეტია ვადაგასული სამკურნალწამლო საშუალებებისა და ფალსფიცირებული პრეპარატების უტილიზაციის პრობლემები.

ყურადსაღებია ვაქცინაციის კაბინეტებში იმუნიზაციის დროს გამოყენებული მასალების, ინსტრუმენტებისა და სხვა სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის

პრობლემა, ინფექციური და ფტიზიატრიული პროფილის ნახმარი წყლების გაწმენდა-გაუვნებლობის პრობლემა, საკანალიზაციო სისტემების ტექნიკური და გამწმენდი ნაგებობების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გათვალისწინებით.

აუცილებელია სამედიცინო ნარჩენების მართვის საკითხები შევიდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებების ლიცენზირების პირობებში.

7. ბიოლოგიური ნარჩენების ინვენტარიზაციის შედეგები

ბიოლოგიური ნარჩენების ინვენტარიზაცია ძირითადად მოიცავს ინფორმაციას დაცემულ ცხოველთა რაოდენობის მიხედვით. მათ შორის: მხვილფეხა რქოსანი, ღორი, ცხვარი, თხა, ფრინველი და დაჭერილი მაწანწალა ძაღლები. აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულია რეგიონების შესაბამისი ვეტერინარული სამსახურებიდან. ინვენტარიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა უდიდესი მცდელობა მაქსიმალური ინფორმაციის მიღების მიზნით.

რეგიონების მიხედვით ბიოლოგიური ნარჩენების ჯამური რაოდენობები შემდეგია:

შიდა ქართლის რეგიონში ოთხი რაიონის მიხედვით დაცემულია 347 მსხვილფეხა რქოსანი, 278 ღორი, 272 ცხვარი და თხა, 5320 ფრინველი, 93 დაჭერილი მაწანწალა ძაღლები.

ქვემო ქართლის რეგიონში ერთი ქალაქისა და ექვსი რაიონის მიხედვით დაცემულია 2690 მსხვილფეხა რქოსანი, 475 ღორი, 5113 ცხვარი და თხა, 10538 ფრინველი, 1351 დაჭერილი მაწანწალა ძაღლები.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ორი რაიონის მიხედვით დაცემული მსხვილფეხა რქოსანის, ცხვარის, თხის და დაჭერილი მაწანწალა ძაღლების შესახებ ინფორმაცია არ არის მიღებული, ხოლო დაცემულია 50 ღორი და 200 ფრინველი.

აჭარის ა/რ მიხედვით დაცემული ცხვარის, თხის და ღორის შესახებ ინფორმაცია არ არის მიღებული, ხოლო დაცემულია 220 მსხვილფეხა რქოსანი, 1611 ფრინველი, 1351 დაჭერილი მაწანწალა ძაღლები. ასევე სავაჭრო ქსელიდან ამოღებულია 3431 კგ გაფუჭებული ცხოველირი პროდუქცია.

გურიის რეგიონში სამი რაიონის მიხედვით დაცემულია 7 მსხვილფეხა რქოსანი, 54 ღორი, 115 ცხვარი და თხა, 1680 ფრინველი, 94 დაჭერილი მაწანწალა ძაღლები.

სამეგრელოს რეგიონში რვა რაიონის მიხედვით დაცემულია 1237 მსხვილფეხა რქოსანი, 358 ღორი, 351 ცხვარი და თხა, 5318 ფრინველი, 636 დაჭერილი მაწანწალა ძაღლები. ასევე სავაჭრო ქსელიდან ამოღებულია 1097 კგ გაფუჭებული ცხოველური პროდუქცია.

სამწუხაროდ, ზოგიერთი რეგიონიდან (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი) ვერ მოხერხდა ინფორმაციების მიღება. ასევე ძალზე მწირია სხვა რეგიონებიდან მოწოდებული ინფორმაციები. კერძოდ, არ ჩანს თუ რა გზით ხდება ბიოლოდიური ნარჩენების განადგურება, გაუვნებელყოფა. ასევე არ არის აღრიცხული საშიში დაავადებები (ჯილეხი, ცოფი, ფრინველის გრიპი და სხვა) გამოწვეული დაცემულ ცხოველთა სამარხებით და სხვა.

მიუხედავად ოფიციალურად მოთხოვნისა და მცდელობისა, ვერ იქნა სათანადო ინფორმაციები მიღებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურებიდან (ვეტერინარიის დეპარტამენტი), სადაც შესაძლებელია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობდეს უფრო სრულყოფილი და სისტემური ინფორმაციები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის სამსახურთან. ასევე სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან უფრო ზუსტი ინფორმაციების მოპოვების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს გარემოსდაცვითი მდგომარეობის მიმოხილვა, UNECE, 2003, თავი 9: სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, ინდუსტრია და გარემო.
2. საქართველოს გარემოსდაცვითი მდგომარეობის მიმოხილვა, UNECE, 2003, თავი 6: ნარჩენი ქიმიკატები და დაბინძურებული წერტილები.
3. სამედიცინო დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, სტერილიზაციის, დროებითი შენახვისა და გადამუშავების ორგანიზების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები. ვ.გ. აკიმკინი, მოსკოვი, 2004.
4. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი. თბილისი. 2003. 136 გვ.
5. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი. თბილისი. 2005. 107 გვ.
6. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი. თბილისი. 2006. 138 გვ.
7. Базельская Конвенция о контроле за трансграничной перевозкой опасных отходов и их удалением. Заключителльный Акт. 98с.
8. Безопасное здравоохранение. Волгоград. 2001. 4 с.